



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 84

2013 წლის 5 ივნისი
ქალაქი ხაშური

შპს „კულინარი-2012“-ისათვის
ქ. ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე გარე რეკლამის განთავსებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის 24.03.2009-ის N 57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მე-65 მუხლის პირველი პუნქტისა „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე (საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია) შპს „კულინარი-2012“-ის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით:

1. მიეცეს თანხმობა შპს „კულინარი-2012“-ს (რეგისტრაციის ადგილი ქ. ხაშური, რუსთაველის ქ. N22, საიდენტიფიკაციო კოდი 443855446) ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კერძოდ ქ. ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე (საავადმყოფოს შესასვლელთან) განთავსოს გარე რეკლამა (სტენდი);
2. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

